09.09.2015

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2015 წლის II კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის II კვარტალში 355 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 81 პროცენტით აღემატება 2014 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას 2013-2015 წლების დინამიკაში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2015* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2013-2015 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის II კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 530 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2015* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014				2015*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**309**	**196**	**726**	**527**	**175**	**355**
მათ შორის:										
შემომავალი ნაკადები	443	618	621	551	520	584	1016	753	444	530
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-191	-410	-366	-324	-210	-388	-290	-226	-269	-175

*წინასწარი მონაცემები.

2015 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2015 წლის II კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014				2015*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**309**	**196**	**726**	**527**	**175**	**355**
მათ შორის:										
აზერბაიჯანი	42	16	-13	37	64	78	110	89	59	160
ნიდერლანდები	36	30	38	48	87	98	99	90	22	68
თურქეთი	-4	36	17	-7	25	20	21	-4	27	41
გაერთიანებული სამეფო	19	-21	28	29	33	-14	24	64	12	32
ლუქსემბურგი	2	117	11	12	16	54	17	23	12	20
კვიპროსი	6	-111	-11	10	0	2	-3	-4	-16	9
საფრანგეთი	-3	3	5	6	4	6	5	4	4	7
ჩინეთი	13	75	2	-1	4	18	152	44	1	7
ყაზახეთი	1	12	3	3	3	18	1	-11	-3	7
დანარჩენი ქვეყნები	139	50	174	90	73	-83	298	232	57	5

*წინასწარი მონაცემები.

2015 წლის II კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 45 პროცენტით, მეორეზე - ნიდერლანდები 19 პროცენტით, ხოლო მესამეზე - თურქეთი 12 პროცენტით.

დიაგრამა №2.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2015* წლის II კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში 2015 წლის II კვარტალის მიხედვით მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013-2015* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014				2015*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**309**	**196**	**726**	**527**	**175**	**355**
მათ შორის:										
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	36	28	51	26	82	113	133	107	146	207
საფინანსო სექტორი	64	15	49	38	92	-129	41	112	-4	41
დამამუშავებელი მრეწველობა	16	28	13	43	58	58	55	35	5	30
მშენებლობა	5	49	-3	-0	-1	31	183	104	24	25
უძრავი ქონება	-12	13	32	10	4	5	164	-35	-10	20
სასტუმროები და რესტორნები	0	-16	2	1	15	18	63	29	17	18
ენერგეტიკა	52	71	74	48	23	79	51	37	11	9
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	1	2	4	5	-2	9	4	2	2	7
სამთომოპოვებითი მრეწველობა	16	8	8	11	6	12	8	17	18	1
დანარჩენი სექტორები	75	10	26	46	33	1	25	120	-33	-3

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წლის II კვარტალში 78 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 207 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 58 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 41 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა 30 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015 წლის II კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №3:

დიაგრამა №3.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015* წლის II კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

2015 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2016 წლის 15 აგვისტოს.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32) 36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge